

მაია ცერცვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბაბო შერვაშიძის მემუარები –
ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუში**

2019 წელს წიგნად გამოიცა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა ბაბო შერვაშიძის ინგლისურენოვანი მემუარების ქართული თარგმანი (გამომცემლობა „არტანუჯი“, მთარგმნელი და საცნობარო აპარატის ავტორი ისტორიის დოქტორი მაია ცერცვაძე).

ბარბარე (ბაბო) მიხეილის ასული შერვაშიძე (შერვაშიძე) (ჩაჩბა) (1859-1946) აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძისა (1806-1866) და ალექსანდრა დადიანის (1822-1864) უმცროსი ქალიშვილია (Думин&Гребельский 1998: 22). იგი დაიბადა აფხაზეთში, ლიხნიში. მისი პირველი მეუღლე იყო თავადი ნიკოლოზ წულუკიძე. მასთან განშორების შემდეგ საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა და 1907 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, იურისტს, რუსეთის სათაბიროს თავმჯდომარის მოადგილეს, გერმანული წარმომავლობის ესტონელ ბარონს ალექსანდრ მეიენდორფს (1869-1964).

ბაბო შერვაშიძე გამოირჩეოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტიურობით. ის მეტად დაახლოებული გახლდათ რუსეთის საიმპერატორო კართან, იყო იმპერატრიცას ფრეილინა, საიმპერატორო კარის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა მნიშვნელოვან საქველმოქმედო ღონისძიებებში.

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით ბაბო შერვაშიძე მეუღლესთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა და სიკვდილამდე ემიგრაციაში ცხოვრობდა. გარდაიცვალა ინგლისში. წყვილს შვილი არ შესძენია და უშუალო შთამომავალი არ დარჩენია.

ბაბო შერვაშიძის ინგლისურ ენაზე დაწერილი მემუარები, რომელიც წარმოადგენს ფოტოებითა და ჩანახატებით გაფორმებულ რვეულს დღიურის ტიპის ჩანაწერებით, მისი დის შთამომავლებმა შემოინახეს და მათ საოჯახო კოლექციაში იყო დაცული.

ჩანაწერები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში მომდინარე მეტად საყურადღებო ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ასახავს. მემუარისტი გვიყვება აფხაზეთის სამ-

თავროს ბოლო დღეებსა და გაუქმებაზე, მამის გასახლებაზე, აფხაზურ-ქართული ურთიერთობებზე, რუსეთის თებერვლის რევოლუციაზე, ოქტომბრის გადატრიალებაზე, რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის იმ ამბებზე, რომელთაც თავად შეესწრო. საკუთარი ოჯახის თავგადასავალს ავტორი აგვიდწერს ერთიან ისტორიულ კონტექსტში და არა მასშტაბური მოვლენებისგან განცალკევებით.

ბაბო შერვაშიძის მემუარები ნონფიქშენის საყურადღებო ნიმუშია, ხოლო მისი გამოცემა – საგულისხმო ლიტერატურული ფაქტი, რის წარმოჩენასაც შევეცდებით.

სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, მასში უკეთ გასარკვევად გვინდა ორი-ოდე სიტყვა „ნონფიქშენზე“ ვთქვათ.

ტერმინით „ნონფიქშენი“ აღინიშნება ყველა სახის არამხატვრული, გამოყენებითი ლიტერატურა – მემუარები, დღიურები, ჩანაწერები, პირადი წერილები, ენციკლოპედიები, ცნობარები და სხვ. ნონფიქშენის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეობას კი მემუარული ლიტერატურა შეადგენს, ანუ ისეთი ლიტერატურა, რომელიც დოკუმენტურ მასალაზეა აგებული და რომლის ფაბულა თუ სიუჟეტი ეყრდნობა ნამდვილ ამბებს და არ წარმოადგენს მხატვრულ გამონაგონს.

ლიტერატურათმცოდნეთა დაკვირვებით, კარგა ხანია მთელ მსოფლიოში შეინიშნება ინტერესის გადანაცვლება ფიქშენიდან ნონფიქშენზე და თანამედროვე პროზის სახეს „ნონფიქშენი“ განსაზღვრავს: „ინგლისურმა „ფიქშენმა“ (ქართულად: „მეთხზული“, „გამოგონილი“) წარმატებით ჩაანაცვლა ფრანგული წარმომავლობის „ბელეტრისტიკა“ (ქართულად: „მხატვრული მწერლობა“, სიტყვასიტყვით – „ლამაზი წერილი/წერილობა“), ხოლო „ნონფიქშენი“ „ფიქშენის“ საპირისპირო ცნებაა, ანუ ქართულად მას „არაგამოგონილი“, „ნამდვილი“ შეესაბამება. წარმატებული კი ეს ჩანაცვლება იმიტომ არის, რომ „ბელეტრისტიკა“, რაც, როგორც ვთქვით, „ლამაზ წერილს/წერილობას“ ნიშნავს, იმ აზრს შთაგვაგონებს, თითქოს არაბელეტრისტული (ნამდვილი ამბების ამსახველი) ტექსტი არ შეიძლება „ლამაზი“, ანუ ესთეტიკური განსჯის საგანი იყოს, რაც, ცხადია, ასე არ არის – მოსაწყენი ბელეტრისტული თხზულებაც ბევრი გვინახავს და უმშვენიერესი დოკუმენტური პროზაც. „ფიქშენი“ და „ნონფიქშენი“ კი ნეიტრალური ტერმინებია, ტექსტისადმი შემფასებლობითი დამოკიდებულების პრეტენზიას არ ამჟღავნებენ – წერს კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგაძე წერილში „ქართული ნონფიქშენი“ (ბრეგაძე 2019:216).

დღეს ნონფიქშენისადმი ასეთი ინტერესის დადასტურებად შეიძლება მოვიხმოთ ის ფაქტი, რომ 2015 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში სწორედ ნონფიქშენური ტექსტების ავტორს, რუსულენოვან ბელორუს მწერალ დოკუმენტალისტს სვეტლანა ალექსიევიჩს მიენიჭა.

რაც შეეხება ნონფიქშენის ასეთი პოპულარობის მიზეზს, მართებულად მიჩნეულია, რომ ეს არის გასული და ამ საუკუნეების ის ეპოქალური, თავისი ბუნებით მეტად

ტრაგიკულ-დრამატული, საბედისწერო, ლამის ფანტასტიკის ჟანრის მოვლენები, რომლითაც აღსავსეა დროის ეს მონაკვეთი – იგულისხმება მსოფლიო და სამოქალაქო ომები, რევოლუციები, სახელმწიფო გადატრიალებები, სტიქიური უბედურებები და კატასტროფები, კატაკლიზმები და სხვა, რომელთაც ღრმა კვალი დააჩნიეს კაცობრიობის ცნობიერებასა და ფსიქიკას და უამრავი ადამიანური განცდის პირველმიზეზი გახდნენ.

ყველა ის საშინელება, რომელსაც რომანისტები თხზავენ, სინამდვილეზე დაბლა დგასო – დიდი ფრანგი მწერლის ო. ბალზაკის ეს სიტყვები ნამდვილად გაახსენდება ბაბო შარვაშიძის მრავალმნიშვნელოვანი მემუარების მკითხველს.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ბაბო შარვაშიძის თხრობის ნიჭი და მწერლური ოსტატობა. მის ნაწერში ვხვდებით ბუნების სურათების აღწერას, პერსონაჟთა პორტრეტებსა და დახასიათებებს, მათი ხასიათის თავისებურებებისა და ეპოქალური ამბების ექსპრესიითა და მაღალმხატვრულად გადმოცემის საინტერესო პასაჟებს, რაც ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და რაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

მემუარების ტექსტის ზოგადი დახასიათებისთვის ვიტყვით იმას, რომ ავტორის თხრობა თანმიმდევრული და ქრონოლოგიურია. მთავრის ოჯახის მეტად დრამატულ თავგადასავალს მისი ქალიშვილი მოგვითხრობს პათეტიკის, აშკარად გამოხატული სევდის გარეშე. სტრიქონებშია ამოსაკითხი დიდი ნაღველი და გულისტკივილი, ვფიქრობთ, მთხრობელის როგორც ზოგადი, ასევე წერის მაღალი კულტურის გამოხატულებას წარმოადგენს. ისიც უნდა ითქვას, რომ მემუარისტი ზოგჯერ ვერ ფარავს თავის ემოციებს, თუმცა ამ შემთხვევებშიც მას არ დაღატობს ზომიერების გრძნობა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ორიოდე რიტორიკულ შეძახილს: „საწყალი ალექსანდრე ფეოდორის ასული!“ (შარვაშიძე 2019: 78) – შენიშნავს ის, როცა რუსეთის იმპერატორიცაა ტრაგიკულ ბედსა და მოწყვლად ხასიათზე საუბრობს; „რა ბედნიერი დრო იყო!“ (შარვაშიძე 2019: 107) – გულისწყვეტით წამოიძახებს რევოლუციამდელი დროისა და მეუღლის თანამემამულე გულითად ბაღტიელ მეზობლებთან დაკავშირებული ეპიზოდების გახსენებისას.

თხრობას მემუარისტი ბავშვობის ამბებით იწყებს და იხსენებს თავის მკვიდრ მამულს – აფხაზეთს, რომლის ბუნებას ხატოვნად აღწერს. მოვუსმინოთ მას:

„აფხაზეთი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, გაგრის ციხიდან ფოთის პორტამდე 150 ვერსზეა გადაჭიმული. ბუნებამ უხვად დააფრქვია ჩემს მამულს მთელი თავისი მშვენება; ხშირტყიანი ხეობები და მთა-გორები, ჩქარი მდინარეები და თოვლით დაფარული მთები. იქაურ ჰავას საფრანგეთის რივიერასას ადარებენ და ღია ცის ქვეშ ფოთოთხლის ხეები ხარობს. აფხაზეთის დედაქალაქი – სოხუმი – ლამაზადაა განფენილი ყურეზე, რომელიც ძალიან ჰგავს ნეაპოლის ყურეს. მისგან აღმოსავლეთით

მდებარეობს ფერადოვანი მონასტერი, ახალი ათონი („ნოვი-აფონი“), რომელსაც ასე მაკედონიის თანამოსახელე დედა მონასტრისგან განსასხვავებლად დაერქვა“ (შარვაშიძე 2019: 15-16).

ხატოვანია ვორონეჟის წმინდა მიტროფანეს ტაძრის აღწერილობაც, სადაც გარდაცვლილი მამის, აფხაზეთის მთავრის სამგლოვიარო პროცედურა ჩატარებულა:

„ლამაზი დღე იყო და მახსოვს, როგორ ბრწყინავდა მზეზე თეთრი ტაძარი და მისი ღურჯი გუმბათი. ტაძარი სახელგანთქმული იყო იმით, რომ იქ მიტროფანეს წმინდა ნაწილები ინახებოდა“ (შარვაშიძე 2019: 26).

კიდევ ერთი პასაჟი – მე-19 საუკუნის ქუთაისისა და ქუთაისური ტრაპეზის აღწერის ფრაგმენტი, რაც საყურადღებოა იმდროინდელი ქალაქის ყოფისა და რეალობის თვალსაჩინოდ წარმოდგენის თვალსაზრისითაც:

„სენაკში ვიზიტის მერე წავედით ქუთაისში. ეს იყო ჩემი პირველი ჩასვლა ამ ძველ კოლორიტულ ქალაქში, რომელსაც ნაირფრად შედებილი ხის სახლები ამშვენებდა. ჩვენ სასტუმრო „კოლხიდაში“ გაჩერდით და დრო მეტად მხიარულად გავატარეთ. აქ მე პირველად გავიგონე ამდენი სიმღერა პურისჭამისას. ყოველი დიდი სადილისას ან თუნდაც მხოლოდ ოჯახის შეკრებისას სუფრას ენიშნებოდა ტოლუმბაში – სუფრის პრეზიდენტი, რომელიც თანამესუფრეებს სადღეგრძელოებს სთავაზობდა. ისინი ყოველთვის მეტად მრავალრიცხოვანი იყო და თითოეული სადღეგრძელოს მერე კამპანია მრავალჯამიერს ამდერებდა. სადილი წესისამებრ მთავრდებოდა ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ღოცვითა და ვედრებით, რომ მას დაეცვა სახლი. ამის შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა და ნაკლებმნიშვნელოვანი სტუმრები პირველად წამოდგებოდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, თავს დაუკრავდნენ კამპანიას და ოთახიდან გავიდოდნენ. მე შევნიშნე, რომ პირჯვარს პურისჭამამდე არავინ იწერდა. სადილები უმთავრესად 3 საათზე ეწყობოდა, ხოლო სადილის მერე ვახშმობამდე ჩვენ ეტლით ვსეირნობდით“ (შარვაშიძე 2019: 58).

მემუარების პერსონაჟებზე საუბრისას, ისევე როგორც ბუნების სურათების აღწერისას, მათი დახასიათებისას ავტორი ხშირად მიმართავს ხატოვანი მეტყველების ელემენტებს: ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებს და სხვ. რითაც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მათ გარეგნობას, ჩაცმულობას და ქმნის საინტერესო პორტრეტებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო რამდენიმე მათგანს:

„ჩემი რძალი მეტად მშვენიერი, შავგვრემანი ქალი იყო და მონაცრისფრო-მომწვანო თვალები ჰქონდა. დამამახსოვრდა მისი ქუდი „ბერტრანდი“, რამაც ჩემზე უჩვეულო შთაბეჭდილება მოახდინა (შენიშვნა: „ბერტრანდი“ იყო ყველაზე მოდური მკერავი პეტერბურგში“ (შარვაშიძე 2019: 128) – თავისი რძლის, გიორგი შარვაშიძის მეუღლის აღწერისას.

„ის იყო მშვენიერი ტანმორჩილი მოხუცი ქართველი მანდილოსანი, რომელსაც მეტად მუქი შავი თვალები, ნაზი ხმა და მიმზიდველი მანერები ჰქონდა. მისი ხმა

ერთგვარი მონოტონური წაგრძელებითა და ოდნავი გაჭიმვით ადამიანს ხიბლავდა“ (შარვაშიძე 2019: 45) – გიორგი შარვაშიძის სიდედრის დახასიათებისას.

მეგობარი წყვილის, პრინცესა ევგენია ოლდენბურგელისა და მისი მეუღლის შესახებ თხრობისას მათ გარეგნობასთან ერთად ხასიათის თვისებებსაც გამოყოფს:

„ჰერცოგ და ჰერცოგინია ლეიხტენბერგელებს იშვიათი გარეგნობა გამოარჩევდათ. მათი ქალიშვილი, ჩემი მეგობარი პრინცესა ევგენია ოლდენბურგელიც ძალიან მიმზიდველი იყო და თუმცა ტანმორჩილი გახლდათ, მეტად ღირსეული და თავდაჭერილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მას გაწონასწორებული და მშვიდი ხასიათი ჰქონდა, რაც მის ხელწერაშიც ჩანს. პრინცესას ჩვევები ლამის სპარტანული, ჩაცმის სტილი კი უბრალო იყო. ის არასოდეს აჰყვებოდა ბოროტ ჭორსა თუ სკანდალს, და ამიტომაც ოლდენბურგელთა სასახლის ატმოსფერო ინტრიგებისაგან გამორჩეულად თავისუფალი იყო.

პრინცი ალექსანდრე როგორღაც დიდად განსხვავდებოდა მისგან. მას შეეძლო ხანდახან განრისხებულიყო, მაგრამ მის სიბრაზეს რაიმე პირადი ან წვრილმანი რამ როდი იწვევდა. ამ უსიამოვნების მსხვერპლნი უმთავრესად ზარმაცი და არაკომპეტენტური ადამიანები ხდებოდნენ, რომელთა ამ ნაკლს ის საზოგადოებისთვის ერთიანად დამღუპველად მიიჩნევდა“ (შარვაშიძე 2019: 45).

რუსეთის საიმპერატორო კარის ნაირგვარი ამბების გადმოცემებში გვხვდება იქაური საზეიმო ღონისძიებებისა და ცერემონიალების მონაწილეთა ჩაცმულობის საგულისხმო აღწერილობაც:

„ძალიან ცხელი დღე იყო და მთელ რუსულ სამეფო კარს სქელი ხავერდის ტანსაცმელი ეცვა... მე გამოვიცვალე სამეფო ტანსაცმელი და პრინცესა ოლდენბურგელის ნაჩუქარ სამოსში გამოვეწყვე. რუსების პოპულარულ ოქრომკედით მოქარგულ თეთრ სარაფანზე მოსხმული მქონდა ძალიან ღამაზი, ვერცხლისფერი მუხის ფოთლებით დაქარგული უოლოსფერი ხავერდის შლეიფი. ირგვლივ ყველას ხავერდის შლეიფმოსხმული ასეთი სარაფნები ეცვა. ფრეილინათა სამოსი იყო წითელი ხავერდი თეთრ სარაფნებზე, იმპერატრიცას და დიდი მთავრინას ჰოფმეისტერის კი მწვანე ხავერდი ეცვათ. სხვა ქალბატონები, რომელთაც ჰქონდათ ქორწილზე დასწრების ნებართვა, თავისუფალნი იყვნენ არჩევანში და შეეძლოთ გამოწყობილიყვნენ, როგორსაც მოისურვებდნენ, ისეთ ფერებში, ოღონდ იმ პირობით, რომ არ შეეცვალათ კაბების სტილი, ანუ სარაფნებზე მოსხმული გრძელი შლეიფები (შარვაშიძე 2019: 82).

განსახილავი მემუარების სახასიათო თავისებურებად მიგვაჩნია აგრეთვე იუმორით შეფერილი პასაჟები, რომლებიც ჩართულია ტექსტში და ერთგვარად ამსუბუქებს დრამატულ-ტრაგიკულ ამბებს და სახალისოს ხდის თხრობას. ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული ამგვარი თხრობის კეთილისმყოფელი გავლენა მკითხველზე და მიზანდასახულად, ოსტატურად და გემოვნებით მიმართავს მას. მოვიყვანოთ მაგალითები.

პოლონეთში, სკერნევიცეში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტს ფელდმარშალ ალექსანდრე ბარიატინსკის მამულში ასეთი ამბავი ახლდა:

„ერთხელ, როცა ყველამ თავი მოიყარა სადილად, ფელდმარშალმა დაინახა, როგორ უახლოვდებოდა მეტროტელი კარს. ეს მან ჩათვალა იმის ნიშნად, რომ სადილი მზად იყო და ისე, რომ არ დალოდებია მის ჩვეულებრივ განცხადებას, „სადილი მზად არის“, იმპერატორსა და სტუმრებს სასადილო ოთახში შეუძღვა. მოხდა კი ისე, რომ იმ დროს სადილი ჯერ კიდევ არ იყო გაწყობილი – მეტროტელი მისაღებ ოთახში იმისთვის შემოსულიყო, რომ რაღაც ეკითხა ფელდმარშლისთვის. და აი, ახლა იმპერატორს 20 წუთი უნდა ეცადა მაგიდასთან, სანამ სადილს მორთმევდნენ! სტუმრებს სახეზე შეშფოთება დაეტყობო, ფელდმარშალი კი თავის სიმაღლეზე დარჩა. ის მიუტრიალდა იმპერატორს და მისი უდიდებულესობა გააცინა: „რასაკვირველია, თქვენს უდიდებულესობას არასოდეს უცდია წვნიანისთვის 20 წუთი. ეს ნამდვილი ნოველაა“ (შარვაშიძე 2019: 56).

კიდევ ერთი მაგალითი იუმორისტული პასაჟისა:

„ბარიატინსკი დიდხანს იყო ნაცხოვრები ინგლისში და ერთ დღესაც ის ერთ შინაურ სცენას აღწერდა მეტად სასაუბრო ინგლისურით, რომელშიც გამოთქმები „I say“ და „Look here“ სჭარბობდა. კუზნეცოვი (ბარიატინსკის მოხუცი ადიუტანტი – მ.ც.) ყურადღებით უსმენდა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური არ ესმოდა. მან ცივად შენიშნა, რომ გააოცა ერთმა უცნაურობამ – ყოველ ინგლისელ მსახურს, როგორც ჩანდა, „Moisay“ და „Lookian“ (მოსე და ლუკა) რქმეოდა“ (შარვაშიძე 2019: 43).

მემუარისტის მეხსიერებამ შემოინახა პერსონაჟის მიერ სიტყვათა თამაშის გამოყენების ერთი საგულისხმო შემთხვევა:

„1905 წელის 5 სექტემბერს ომი (იგულისხმება რუსეთ-იაპონიის ომი) დამთავრდა. სწორედ მაშინ კავკასიის მთავარმართებლის ადგილი გათავისუფლდა და დაირჩა ხმა, რომ ამ პოსტზე გენერალ კუროპატკინს ნიშნავდნენ. როცა ამის შესახებ შეიტყო თავადის ასულმა მუხრანსკიმ, ყოფილი მეფისნაცვლის ვაჟის დიდმა მეგობარმა, პეტერბურგში გაგზავნა ასეთი შინაარსის დეპეშა: „Voulons pas perdrix, voulons aigle“ (არ გვინდა მწყერი, გვინდა არწივი – ფრანგ.), გაითამაშა კუროპატკინის სახელი (Куропатка – მწყერი (რუს.))“ (შარვაშიძე 2019: 92).

გვხვდება ირონიის ნიმუშიც. რევოლუციის შედეგად დამკვიდრებულ სასტიკ ვითარებას, საკუთარ სახლში ბინადრობის გაუსაძლისობას და დამცირებას ასე მწარედ იგონებს ბაბო შარვაშიძე:

„ჩვენი უფროსი მეეზოვე, იმავდროულად დარაჯი და აგენტი, ჩვენი „სახლის კომიტეტის“ თავმჯდომარე გახდა. მის ოთახში გამართულ შეკრებებზე მე ისე „მიწვევდნენ“, როგორც ერთ ჩვეულებრივ წევრს. მის მეუღლეს მასპინძლად ყოფნის პატივი ერგო. თუ

მინდოდა ჩვენი მოხუცი ძიძისთვის თბილი ტანსაცმელი ან თუნდაც კალოშები მეყიდა, ნებართვა კომიტეტისგან უნდა ამეღო“ (შარვაშიძე 2019: 121).

მრავალჭირვარამგამოვლილი, ემიგრაციაში მყოფი ბაბო შარვაშიძე, ადარებს რა ერთმანეთს იქაურ ყოფასა და რევოლუციისა და შემდგომი პერიოდის რუსეთს, მემუარების ბოლოს ასე გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას იქაური საშინელი რეალობისადმი:

„მეტად მხიბლავდა ის, რომ ლონდონის მეტროში ახალგაზრდები ადგილს გვითმობდნენ მოხუც ქალებს. პირველად ამდენი ხნის შემდეგ ... მოწმე ვიყავი ასეთი საყოველთაო თავაზიანობისა. რუსეთში კი, რევოლუციის დროს და შემდეგაც, ხალხს ისეთი სახეები ჰქონდათ, როგორიც კაციჭამიებს!“ (შარვაშიძე 2019: 128).

ლიტერატურათმცოდნენი მიუთითებენ, რომ „განსაკუთრებით ძვირფასია ის ნონფიქშენი, რომლის ავტორიც თვითმხილველი, ზოგჯერ კი მონაწილეც არის მის მიერ მოთხრობილი ამბებისა, ანუ ნატურიდან ხატავს...“

სიტყვების მეშვეობით ნატურიდან დახატული ცხოვრებისეული ეპიზოდის მომხიბვლელობა მისი შექმნიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ იჩენს თავს მთელი სისრულით. ეს შეიძლება შევადაროთ ფოტოს ან დოკუმენტურ ფირს, რომელიც, რაც უფრო ძველია, რაც უფრო წინანდელ ვითარებას ასახავს, მით უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, მათ შორის ესთეტიკურ ზემოქმედებასაც... ავთენტიკურობა განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ნონფიქშენსაც, რაც ამგვარი ნაწარმოების ესთეტიკის თავისებურებას წარმოადგენს. ეს არის დოკუმენტური ტექსტის ჯადოსნური თვისება – გადაგვისროლოს საუკუნეების სიღრმეში, ანუ წარსულში გვამოგზაუროს“ (ბრეგაძე 2019: 232-233).

ზემოთ მოყვანილ ციტატაში გაცხადებულია ნონფიქშენური ტექსტის მნიშვნელოვნების არსი. როგორც ვხედავთ, იგი თავისთავადი ესთეტიკური ღირებულების მატარებელია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი მოხრობელი თავად არის თვითმხილველი და მომსწრე ტექსტში გადმოცემული ამბებისა, თუ ის პირად გამოცდილებაზე გვესაუბრება და ფაქტებისა და მოვლენებისადმი თავის ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და თან ამას მაღალმხატვრულად, მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით აკეთებს, მაშინ, ბუნებრივია, ასეთი ტექსტის მნიშვნელობა ერთიორად იზრდება.

ვფიქრობთ, გამოკვლევაში მოხმობილი მაგალითების მცირე ნაწილზე დაყრდნობითაც კი შეიძლება ითქვას, რომ ბაბო შარვაშიძის მემუარების სახით ჩვენ ნონფიქშენის სწორედ ასეთ საყურადღებო ნიმუშთან გვაქვს საქმე. მისით გამდიდრდა ქართული მემუარისტიკის ფონდი და მან იქ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა.

Maia Tsertsvadze

Georgian Technical University

Baba Sharvashvade's Memories – A notable specimen of Non-fiction

Summary

As observed rightly by literary critics, in our time the so called non-fiction" prose attracts a lot of attention. These are genuine and non-fiction-based texts - blogs, epistles, memoirs, sketches, etc. The Georgian literary space is not an exception. It is enriched with both original and translated samples of non-fiction.

One of these examples is the memories written by Barbara Sharvashidze (1859-1946), the youngest daughter of Mikheil Sharvashidze (1806-1866), the last ruler of Abkhazia. The memoirs are written in English and printed on a typewriter, decorated with photos and sketches. It was kept in the family collection of the descendants of the author of the memoirs. This year the Georgian publishing house "Artanuji" (translated and equipped with the reference apparatus by Doctor of History Maia Tsertsvadze) has published the Georgian translation of the memoirs, which we believe is an important literary fact.

Babo Sharvasvadze was born in Likhni, Abkhazia. In 1907, in St. Petersburg she married a well-known political figure, lawyer, deputy chairman of the Russian Duma, Estonian Baron Aleksandra Meindorf (1869-1964) After the revolution of Russia in October 1917, the couple went abroad and lived there until their deaths. Babo Sharvashvadze died in England. While living in England as an emigrant, she wrote and left the memoirs to her spouse.

Babo Sharvashvadze led a politically and socially active life, was close to the Russian Imperial Court, was a lady-in-waiting to the Russian Empress and participated in charity events.

The memoirs tell us about the dramatic life and the adventures of the family of the author against the background of fundamental events of the epoch. The author retells the reader about the last days of the Abkhazian principality and the banishment of her father from Abkhazia by the Russian Empire. She also discusses Abkhazian-Georgian relations, the Russian Imperial Court and other events directly witnessed by her. The Georgian reader's special interest is provoked by the description of episodes of an extremely complex and interesting Georgian public life at the junction of the 19th-20th cc and the revival of the protagonist characters as well as presentation of cultural and household regalia of the time in question. It would be suffice to mention the events concerning Dimitri Kipiani's funeral described in the memoirs.

The paper is dedicated to the presentation of Babo Shavashvadze's memoirs as a distinguished example of the genre of non-fiction, as well as the determination of their place in Georgian literary space.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, ლ. (2019). „მოთხრობები ლიტერატურაზე 2“. თბილისი, საქართველო: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

შარვაშიძე, ბ. (2019). *მემუარები*. ინგლისურიდან თარგმნა, კომენტარები, შენიშვნები, გენეალოგიური ტაბულები და საძიებლები დაურთო მაია ცერცვაძემ. თბილისი, საქართველო: „არტანუჯი“.

Думин, С., Гребельский, П.(1998). *Дворянские роды российской империи*. т. IV: Думин, С., Чиковани, Ю. *Князья царства грузинского*. Москва, Россия: «Ликоминвест».